„ დამტკიცებულია“
სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2011 წლის 07 ოქტომბრის სხდომაზე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენდია“) გამიზნულია აკადემიური განათლების ორივე საფეხურის იმ სტუდენტთა წახალისებისათვის, რომლებიც სწავლობენ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) და არიან გამორჩეულნი სწავლაში მიღწეული წარმატებებით, აგრეთვე აქტიური სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობით. **(03/10/2011)**

2. სტიპენდიის მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის ფორმა, კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და კონკურსის პირობები განისაზღვრება.

3. სტიპენდიის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტით, ამ მიზნით გამოყოფილი თანხის ფარგლებში.

4. სტიპენდიის მინიჭების მიზნით უნივერსიტეტში იქმნება სტიპენდიის მინიჭების კომისია (შემდეგში - „კომისია“), რომლის საქმიანობის წესი და უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებით.

5. საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სტიპენდია გაიცემა ბოლო ერთი წლის აკადემიური შედეგების მიხედვით ერთი სასწავლო წლის ვადით. **(16.11.2016, 04-01/11)**

6. თითოეული სახელობითი სტიპენდიისათვის თანხის ოდენობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.

7. სტიპენდია ენიშნებათ სტუდენტებს სწავლების მესამე სემესტრიდან.

8. ყოველ ფაკულტეტზე სტიპენდიატთა რაოდენობა და სტიპენდიის დასახელება განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებითა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. ხოლო საუნივერსიტეტო სტიპენდიატთა რაოდენობას და სტიპენდიის დასახელებას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

9. კომისიის მიერ არ განიხილება ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტის განაცხადი.

10. სტუდენტს სახელობითი სტიპენდიასთან ერთად სხვა სახის სტიპენდია (მათ შორის სახელმწიფო სტიპენდია) არ მიეცემა, მას უფლება აქვს არჩევანი გააკეთოს სტიპენდიებს შორის.

მუხლი 2. განცხადება კონკურსის შესახებ

1. სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **(16.10. 2014, 05-01/07)**

2. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) კონკურსის პირობებს;

ბ) პრეტენდენტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;

გ) წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხასა და პირობებს;

დ) განაცხადის წარმოდგენის ვადასა და ადგილს.

3. საშემსრულებლო მიმართულებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენის უფლება მიეცეს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის სტუდენტებს, სწავლების მეორე წლიდან, თუ:

ა) საუნივერსიტეტო სტიპენდიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა.

ბ) საფაკულტეტო სტიპენდიის მისაღებად:

– სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამის სპეციალობის ძირითად დისციპლინებში აქვს 81 და მეტი ქულა; ყველა დანარჩენ დისციპლინაში კი აქვს შეფასება 71 და მეტი ქულა.

- შესაბამისი სპეციალობის მიხედვით აქვს შემოქმედებითი აქტივობა და წარმატებები (მონაწილეობა გამოფენებში, კონცერტებში, კონკურსებში, სპექტაკლები და ა.შ.) **(16.10.2014, 05-01/07; 28.12.2022, №05-01/01)**

4. თეორიული მიმართულებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენის უფლება მიეცეს უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის სტუდენტებს, სწავლების მეორე წლიდან, თუ: **(05-01/07. 16.10.2014; 28.12.2022, №05-01/01)**

ა) საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა. **(28.12.2022, №05-01/01)**

ა[1]) საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან გამონაკლის შემთხვევაში, დისციპლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა. **(28.12.2022, №05-01/01)**

ბ) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მიღწევები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, (დანართი 1)

ბ) სასწავლო-შემოქმედებით/სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV). (დანართი 2)

გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის, შემოქმედებითი წარმატებე-ბის და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სი-გელ(ებ)ის, სერთიფიკატის, პროგრამების და სხვა, ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებულ ასლებს;

დ) პირადობის მოწმობის ასლს;

ე) სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სასწავლო ბარათის ასლი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებული. **(16.10. 2014, 05-01/07)**

ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის დედანს ან დამოწმებულ ასლს;

ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენ-დენტის სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო საქმიანობას.

4. კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადება უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე განცხადების მიღების დასრულებამდე არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე. **(03/10/2011)**

მუხლი 3. კომისია

1. საკონკურსო კომისია იქმნება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედიან: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, იურისტი, შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.**(10.06.2019,№05-01/06)**

2. კომისია პირველივე სხდომაზე ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს, წევრთა უმრავლესობით.**(10.06.2019,№05-01/06)**

3. კომისიის სხდომებს ესწრებიან მხოლოდ კომისიის წევრები.

4. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

5. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.

6. კომისია:

ა) ისმენს მოხსენებას საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმების შედეგების თაობაზე;

ბ) ადგენს იმ განაცხადებს რომლებიც არ ექვემდებარება განხილვას;

გ) განიხილავს შეფასებისათვის წარდგენილ პრეტენდენტების განცხადებებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებას;

დ) კომისია მონიტორინგს უწევს სტიპენდიანტებს აღებული ვალდებულებების შესრულებაზე და დარღვევის შემთხვევაში რეკომენდაციით მიმართავს რექტორს სტიპენდიის ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე.

7. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის მიერ კომისიაში შეიძლება მოწვეული იქნეს ექსპერტი სათათბირო ხმის უფლებით.

8. **(ამოღებულია -16.10. 2014, 05-01/07)**

მუხლი 4. პრეტენდენტის განცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციის) წარდგენის წესი

1. პრეტენდენტის მიერ საკონკურსო დოკუმენტაცია უნივერსიტეტში წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად, ქართულ ენაზე 2 (ორ) ეგზემპლიარად.

2. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებასა და მის რეგისტრაციას აწარმოებს საკონკურსო კომისიის მდივანი.

3. თითოეულ პრეტენდენტს აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის) წარდგენის უფლება.

4. პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტს ეკრძალება კონკურსში მონაწილეობის მიღება. **(03/10/2011)**

5. საკონკურსო დოკუმენტაციის წინამდებარე დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია პრეტენდენტი.

6. საკონკურსო დოკუმენტაცია მდივანს ბარდება დანომრილი სახით. ამასთან განცხადებაში უნდა მიეთითოს თანდართული საკონკურსო დოკუმენტაციის ფურცლების რაოდენობა.

7. განაცხადი (საკონკურსო დოკუმენტაცია) მდივნის მიერ მიიღება მხოლოდ მუხლი 2, პუნქტი 2-ის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

8. პრეტენდენტს უფლება აქვს განაცხადების (საკონკურსო დოკუმენტაციის) მიღების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს წერილობით მიმართოს მდივანს თხოვნით განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის) შეცვლის ან მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

9. განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის) მიღების ვადის დასრულების შემდგომ მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია. **(10.06.2019, №05-01/06)**

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის შერჩევა

1. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულების შემდეგ მდივნის მიერ კომისიის წევრების მონაწილეობით ხორციელდება მათი შემოწმება კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით:

ა) სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი;

ბ) არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი შედგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით (უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, საჭიროების შემთხვევაში ბეჭდით დამოწმებული, თარიღის მითითება და სხვა.);

გ) შეესაბამება თუ არა საკონკურსო დოკუმენტაციის მონაცემები ამ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

2. საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია;

ბ) თუ პრეტენდენტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა. შ.);

გ) თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდა.

3. შემოწმების პროცედურის დასრულების შემდგომ კომისია განიხილავს შედეგებს.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და შეფასება

1.საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვასა და შეფასებას ახორციელებს კომისია საბუთების მიღების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში და გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს.

2. საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) საუნივერსიტეტო სტიპენდიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა.

ბ) საფაკულტეტო სტიპენდიის მისაღებად:

– საშემსრულებლო მიმართულებით სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამის სპეციალობის ძირითად დისციპლინებში აქვს 81 და მეტი ქულა; ყველა დანარჩენ დისციპლინაში კი აქვს შეფასება 71 და მეტი ქულა.

- შესაბამის სპეციალობაში შემოქმედებითი აქტივობა და წარმატებები (გამოფენები, კონცერტები, კონცერტები, სპექტაკლები და ა. შ.)

– თეორიული მიმართულებით სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის ბოლო ერთი წლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან გამონაკლის შემთხვევაში დისციპლინების 1/4-ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი ან სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა.შ. მონაწილეობა და მიღებული მაღალი მიღწევები. **(28.12.2022, №05-01/01)**

3. გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.

მუხლი 7. კომისიის გადაწყვეტილება და სტიპენდიის ხელშეკრულება

1. კომისია თითოეულ პრეტენდენტზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.

2. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კენჭისყრის შედეგად ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

3. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ, რომ-ლის საფუძველზე სტიპენდიანტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. **(16.10. 2014, 05-01/07)**

5. სტიპენდიის გაცემაზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება. **(16.10. 2014, 05-01/07)**

6. სტიპენდია გაიცემა ერთი სასწავლო წლის ვადით 01 სექტემბრიდან 01 სექტემბრამდე.

მუხლი 8. სტიპენდიატის მონიტორინგი

1. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე სტიპენდიანტს ვადამდე შეუწყდება სტიპენდია თუ დაარღვია წინამდებარე დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობები. **(16.10. 2014, 05-01/07)**

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით. (10.06.2019,№05-01/06)

დანართი 1

განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს

ბატონ .....

1	სახელი, გვარი	
2	პირადობის დამადასტურებელი დოკუ-მენტის ნომერი და პირადი ნომერი	
3	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
4	დაბადების ადგილი	
5	საცხოვრებელი ადგილის მისამართი	
6	ტელეფონი	
7	ელექტრონული ფოსტა	
8	ფაკულტეტი	
9	სპეციალობა	

მოგახსენებთ, რომ გავეცანი კონკურსის დებულებას და ვაღიარებ მის სავალდებულო დაცვას. გთხოვთ მიიღოთ ჩემი განცხადება წარმოდგენილი უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში.

განცხადებას თან ერთვის:

ა) სასწავლო-შემოქმედებითი/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV);

ბ) შემოქმედებითი წარმატებების, სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერთიფიკატის, პროგრამების და სხვა დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ცნობა სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ;

ე) გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის დედანი ან დამოწმებულ ასლი;

ვ) სარეკომენდაციო წერილი

ვადასტურებ რომ ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, უნივერსიტეტს ვაძლევ უფლებას, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. ვაცნობიერებ, რომ უნივერსიტეტის მიერ ნებისმიერი სახის ყალბი მონაცემის აღმოჩენის შემთხვევაში ჩემი განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება.

....

ხელმოწერა თარიღი

სასწავლო-შემოქმედებითი / სამეცნიერო ავტობიოგრაფია (**CV**);

1. სახელი, გვარი

.....

2. ფაკულტეტი

№	ფაკულტეტი	სპეციალობა	ჩარიცხვის წელი

3. სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებები

№	სემესტრი	სასწავლო კურსი/მოდული	შეფასება	შენიშვნა

4. შემომედებითი აქტიობა და წარმატებები

№	დასახელება	რიცხვი/თვე/ წელი	ადგილი	შენიშვნა

5. პუბლიკაციების რაოდენობა:.....

6. პუბლიკაციების ჩამონათვალი კონკურსანტის შეხედულებისამებრ

№	წელი	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა	პუბლიკაციის სახე

7. სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

№	წელი	ღონისძიების დასხელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი

8. დამატებითი ინფორმაცია სურვილისამებრ

კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტაციის საკონტროლო ნუსხა

№	წარსადგენი საკონკურსო დოკუმენტები	ეგზემპლიართა რაოდენობა	დოკუმენტის დამოწმებული ასლი
1	სასწავლო-შემოქმედებითი/სამეცნიერო ავტობიოგრაფია (CV)	1	
2	შემოქმედებითი წარმატებების, სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერთიფიკატის, პროგრამების და სხვა დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;	1	სავალდებულო
3	პირადობის მოწმობის ასლი;	1	
4	სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტუ-რებელი სასწავლო ბარათის ასლი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებული	1	სავალდებულო
5	გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის დედანი ან დამოწმებულ ასლი;	1	სავალდებულო
6	სარეკომენდაციო წერილი	1	